

5

ქართული ენა

მოსწავლის წიგნი

ნიმე გორდელაძე
თინათინ კუხიანიძე



გაქურ სულაქაურის
გამომცემლობა

გრიფინიჭებულია საქართველოს
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2018 წელს.



სარჩევი

სიტყვათა კლასი – არსებითი სახელი

არსებით სახელთა ჯგუფები.....	7
კრებითი არსებითი სახელები.....	11
არსებით სახელთა ბრუნება მხოლოდით რიცხვში	13
სახელის ფუძის კუმშვა და კვეცა.....	15
არსებითი სახელის ბრუნება მრავლობით რიცხვში.....	16
არსებით სახელთა ბრუნების თავისებურებანი	16
თავისებურება 1: კუმშვად-კვეცადი არსებითი სახელები.....	19
თავისებურება 2: მხოლოდითი – უკვეცელი, მრავლობითი – კვეცადი არსებითი სახელები	19
თავისებურება 3: თავისებურად კუმშვადი არსებითი სახელები ..	20
კვლავ არსებით სახელთა ბრუნების თავისებურებათა შესახებ.....	22
უკვეცელ სახელთა ბრუნების თავისებურება	22
გამონაკლისები: 1. არსებითი სახელი – ღვინო.....	23
2. არსებითი სახელი – დრო.....	23
„ი“ ხმოვანზე ფუძედაბოლოებული არსებითი სახელები.....	24
ადამიანთა სახელების ბრუნება	25
ბოლოხმოვნიან საკუთარ სახელთა ბრუნება	25
ბოლოთანხმოვნიან საკუთარ სახელთა ბრუნება.....	26
ბრუნვის ნიშანთა სავრცობი ხმოვანი.....	27
ადამიანთა გვარების ბრუნება	28
მრავლობითი რიცხვის ძველი ფორმები.....	30

სიტყვათა კლასი – ზმნა

ზმნის დრო (წარსული, ახლანდელი, მომავალი).....	34
ზმნის დროის ამოცნობა.....	35
ზმნა და ზმნისწინი.....	36
ზმნის კილო.....	38
კავშირებითი კილო	39
ზმნის კილოები და წარსული დრო.....	42
I. თხრობითი კილო	42
II. კავშირებითი კილო	42
ბრძანებითი კილო	44
ზმნის დრო და ბრძანებითი კილო	45
ზმნის თავისებურებანი	48
1. რიცხვში მონაცვლე ფორმები.....	48
2. სულიერისა და უსულოთა შესაბამისი ფორმები	48

3. თავაზიანი საუბრის ფორმები	49
4. ჰ (ჰაე) თავსართი მესამე პირის ზმნებთან	49
3. -ავ და -ამ ნიშნები	50
ზმნის ფორმაცვალება	52

სიტყვათა კლასი – ზედსართავი სახელი

ძირეული და წარმოქმნილი ზედსართავები	54
ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები	56
უფროობითი	56
ოდნაობითი	58
ზედსართავისა და არსებითი სახელის ერთად ბრუნება	60
მარტივი და რთული სიტყვები	62
რთული სიტყვის მართლწერა	63

სიტყვათა კლასი – ზმნიზედა

ზმნიზედის ჯგუფები	66
-------------------------	----

ზმნა

ისევ ზმნის თავისებურების შესახებ – სასხვისო და სათავისო მოქმედება	68
ქართული ზმნის კიდევ ერთი თავისებურება – უშუალო და შუალობითი მოქმედება	70

სიტყვათა კლასი – რიცხვითი სახელი

72

სიტყვათა კლასი – ნაცვალსახელი

კუთვნილებითი ნაცვალსახელები	75
დავადგინოთ, როდის რომელია მართებული: მისი თუ თავისი? ...	76
კუთვნილებითი ნაცვალსახელისა და არსებითი სახელის ერთად ბრუნება	77
წერის კულტურის საკითხები	79
I. მიმართვის მართლწერა	79
II. დიალოგის მართლწერა	80
როგორ ავიცილოთ თავიდან ერთი და იმავე სიტყვის ხშირად გამეორება?	82

რიცხვითი სახელი – დანართი 1

83

რიცხვითი სახელი – დანართი 2

84

შესავალი

ეს თქვენთვის, მესუთეკლასელებისთვის, განკუთვნილი გრამატიკის სახელმძღვანელოა. მშობლიურ ენაში, საუბრის გამოცდილებითა თუ ლიტერატურის კითხვით, ცხადია, თქვენ უკვე შეთვისებული გაქვთ მეტყველების ყველა ნაწილი – სხვადასხვაგვარი სიტყვა. მაგრამ, ამავე დროს, სასურველია, უფრო ღრმად ჩასწვდეთ ქართული ენის ბუნებას, მის აგებულებასა და თავისებურებებს. რადგან უცხოურ ენებსაც ეუფლებით, ადვილად აღმოაჩენდით იმ ფაქტს, რომ ყოველ ენას თავისებური წესები „დაუდგენია“. მეცნიერები სწორედ ენათა ამ თავისთავადობას შეისწავლიან. სფეროს, რომელიც ამგვარ კვლევა-ძიებას გულისხმობს, ენათმეცნიერება ეწოდება.

ქართულ ენათმეცნიერებაში ენის ბუნებისა და აგებულების დასახასიათებლად შექმნილია სათანადო ტერმინოლოგია. ასევე, რა თქმა უნდა, გამოიყენება საერთაშორისო სამეცნიერო ტერმინებიც; მათი დიდი უმრავლესობა ბერძნულ-ლათინურია. მაგალითად, „გრამატიკა“ ბერძნული სიტყვაა (grammatike), სწორედ ამ ტერმინით მოიხსენიება მეცნიერული ცოდნა ამა თუ იმ ენის აგებულების შესახებ, ხოლო დარგს, რომლის მიზანია უშუალოდ მეტყველების ნაწილთა ანუ სიტყვათა კლასების დადგენა და შესწავლა, მორფოლოგია ჰქვია.

მორფოლოგია – [ბერძნული: morphe ფორმა, logos სიტყვა, სწავლება] – გრამატიკის დარგი, რომელიც სწავლობს სიტყვათა ცვლილებების წესებს, – განმარტებულია ლექსიკონში.

წელს ჩვენ სწორედ მორფოლოგიის სასკოლო კურსის საკითხებს შევისწავლით. გვჯერა, აქ თავმოყრილი საკითხები და სამუშაო მასალა დიდ ინტერესს აღვიძრავთ, რადგან მკვლევრის თანაგანცდას გადმოგდებთ. დაკვირვება, ძიება, ანალიზი ხომ უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს!

! გაიხსენე

გავიხსენოთ მეტყველების ნაწილთა – სიტყვათა კლასების აღმნიშვნელი ქართული ტერმინოლოგია:

1. არსებითი სახელი;
2. ზედსართავი სახელი;
3. რიცხვითი სახელი;
4. ნაცვალსახელი;
5. ზმნა;
6. ზმნიზედა.

ამათ გარდა, ენაში გამოყოფილია კიდევ ოთხი კლასი, რომელთაც ჩვენ შემდგომში, მე-6 კლასში შევისწავლით.

მიაქციეთ ყურადღება: ჩამოთვლილი ოთხი სახელიდან ერთი არსებითია. გარდა ამისა, ტერმინში „ზმნიზედა“ გამოკვეთილია ამ კლასის სიტყვათა უშუალო კავშირი ზმნასთან.

დავალება

- იმსჯელეთ, რა ინფორმაციას განვდით ამ ტერმინთა შინაარსი: **ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი.**
- გადაიხაზეთ ცხრილი; თითოეულ ტერმინს შეუსაბამეთ სათანადო 3 სიტყვა მოცემული ნიმუშის მიხედვით:

არსებითი სახელი	ზედსართავი სახელი	რიცხვითი სახელი	ნაცვალსახელი	ზმნა	ზმნიზედა
მთა	მაღალი	ერთი	ის	მოჩანს	შორს
_____	_____	_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____	_____	_____

! შენიშვნა

ჩვენი კურსის მიხედვით, გრამატიკაში ცოდნის გაღრმავებას არსებითი სახელის შესწავლით ვინყებთ. შემდეგ კი განსაკუთრებით დიდ დროს დავუთმობთ ზმნას მისი მნიშვნელობისა და სირთულის გამო.

სიტყვათა კლასი



არსებითი სახელი

არსებით სახელთა ჯგუფები გაკვეთილი I

არსებითი სახელის სხვადასხვა ნიშან-თვისების წარმოსაჩენად და დასახასიათებლად გამოყოფილია შემდეგი ჯგუფები:

I ჯგუფი ორი ქვეჯგუფით: ვინ? და რა?

„ვინ“ ჯგუფის:	„რა“ ჯგუფის:
ადამიანი, ხალხი, პოეტი, მეგობარი, მოსწავლე, პედაგოგი, ექიმი, მწვრთნელი, მონადირე, მეფუტკრე...	ნაკადული, <u>ირემი</u> , ხევი, ნისლი, <u>მწერი</u> , <u>ფუტკარი</u> , სკა, <u>ძალღი</u> , <u>ცხოველი</u> , <u>ნადირი</u> , სკოლა, ნიგნი...

დავალება

ა) გაიხსენე და დაასრულე გრამატიკული წესი:
ქართულ ენაში კითხვა ვინ?
დაესმის მხოლოდ ----.

ბ) დააკვირდი „რა“ ჯგუფის სვეტში ხაზგასმულ სიტყვებს და შეადარე „ვინ“ ჯგუფის ჩამონათვალს.
ჩამოაყალიბე პასუხი: რა მთავარი განსხვავებაა მათ შორის?

II ჯგუფი (სულიერთა და უსულოთა)

სულიერთა	უსულოთა
ადამიანი, პოეტი, ხალხი, მოსწავლე, მეგობარი, მწერი, ფუტკარი, ძალღი, ცხოველი, ნადირი, ირემი, ჩიტი, ექიმი, პედაგოგი, მეფუტკრე, მწვრთნელი, მევენახე...	ნაკადული, ხევი, ყანა, ვენახი, ნისლი, ხე, ბუდე, კენჭი, სკა, გალია, ნიგნი, ფურცელი, კალამი, სკოლა, სახლი, ქვა...

დავალება

განსხვავების წარმოსაჩენად, დააკვირდი სულიერთა და უსულოთა სახელებს და მათთან შეწყობილ ზმნებს:

- სკაში ფუტკრები მოჩანან.
სკაში ფიჭები მოჩანს.
- მთაზე ირმები დგანან.
მთაზე კარვები დგას.

! გაიხსენე

გაიხსენე და დაასრულე ქართული ენის წესი უსულო არსებითი სახელისა და ზმნის რიცხვში შეწყობის შესახებ:

უსულო არსებითი სახელი რომ მრავლობით რიცხვში ჩავსვათ, მასთან ზმნა მაინც ----- რიცხვში დარჩება.

შენიშვნა: ეს წესი ირღვევა მხოლოდ მაშინ, როდესაც მწერალი გასულიერების ხერხს იყენებს. გაიხსენე რომელიმე ნიმუში.

გაკვეთილი II

განვაგრძოთ არსებით სახელთა ჯგუფებზე დაკვირვება:

III ჯგუფი (საზოგადო და საკუთარი)

საზოგადო	საკუთარი
ცა, სახლი, ქვეყანა, ქალაქი, ფრინველი, ცხოველი, ტბა, ზღვა, ადამიანი, მწერალი, ზღაპარი, მეფე, მოქალაქე, წიგნი...	მზე, თბილისი, მტკვარი, იმერეთი, იუპიტერი, ნიქარა, ფიროსმანი, გორგასალი, ერეკლე, გალაკტიონი, „ვეფხისტყაოსანი“, ვაჟა-ფშაველა, „სათაგური“...

დავალება

- დააკვირდი და განმარტე, რა განსხვავებაა საზოგადოსა და საკუთარ არსებით სახელებს შორის.
- ჩამოთვილილი არსებითი სახელებიდან ამოკრიბე საკუთარი სახელები:
ინდოეთი, უდაბნო, სპილო, მწვერვალი, იალბუზი, თერგი, ხეობა, ირემი, ქორბუდა, სათაფლია, მთვარე, გამოქვაბული, გაგრა, სანაპირო.

! განმარტება

საკუთარ სახელებად მიჩნეულია:

1. გეოგრაფიული სახელები (საქართველო, თელავი, ალაზანი, იალბუზი...);
2. ციურ მნათობთა სახელები (მთვარე, მარსი, ვენერა//ცისკარი...);
3. ადამიანთა სახელები, გვარები, ფსევდონიმები;
4. ცხოველთათვის შერქმეული სახელები;
5. მხატვრულ ნაწარმოებთა სათაურები და ჟურნალ-გაზეთების, დანესებულებების სახელწოდებები.

დავლება

შეუსაბამე საკუთარ სახელთა ამ განმარტების 5-ვე ნაწილს წინა გვერდზე, მარჯვენა სვეტში მოცემული საკუთარი სახელები (მზე, თბილისი, მტკვარი...).

! დაიმახსოვრე

ამათგან ნაწერში ბრჭყალებში უნდა ჩავსვათ **მხატვრული ნაწარმოებების სათაურები და ჟურნალ-გაზეთების, დანესებულებების, ასევე, გემების სახელები.**

დავლება

განმარტე, სად უნდა აღდგეს გამოტოვებული ბრჭყალები?

- ა) ზღაპარი რწყილი და ჭიანჭველა ბავშვობაში ყველას ნაუკითხავს.
- ბ) გაზეთი ივერია ილია ჭავჭავაძემ დააარსა.
- გ) გემი რუსთაველი ბათუმის ნავსადგურს მოადგა.
- დ) კაფე ცეროდენა ვაკის პარკში მდებარეობს.



IV ჯგუფი

კონკრეტული:	აბსტრაქტული (ბანყინებული):
მერცხალი, ფრინველი, აივანი, ეზო, ბავშვი, შენობა, მზე, ჰაერი, მეგობარი, ბუდე, ტალახი, შუბი, მეომარი, ქალაქი...	ბავშვობა, სილაღე, სიკეთე, სილამაზე, სიხარული, ბედნიერება, დარდი, სისასტიკე, უბედურება, მტრობა, გონიერება, გულწრფელობა, მეგობრობა, მხიარულება...

! დააკვირდი

კონკრეტული არსებითი სახელისაგან განსხვავებით, **აბსტრაქტულ** სახელს არ აქვს ნივთიერი სახე, ის უნდა გავიაზროთ გონებით, წარმოვიდგინოთ, განვიცადოთ.

ყველა აბსტრაქტული სახელი „რა“ ჯგუფისაა.

დავალება

1. წაიკითხე წინადადება და ამოკრიბე ოთხი კონკრეტული არსებითი სახელი:
„განა მარტო ხარი იყო უნინ გარეული პირუტყვი? არა, გარეული იყვნენ სხვა ახლანდელი შინაური ცხოველები და ადამიანმა ისინიც მოაშინაურა“
(იაკობ გოგებაშვილი).
2. წაიკითხე წინადადება და იპოვე ორი აბსტრაქტული არსებითი სახელი:
„ხან იღლება მანანა, მაგრამ გაახსენდება ზამთრისპირის ეს დღე და სწრაფად უბრუნდება მშვენიერება და სიმხნევე სახეზე, მთელ სხეულში“
(რევაზ ინანიშვილი).

კრებითი არსებითი სახელები

! შეადარე ა) და ბ) წინადადებები

ა) სალამოს დეიდა პოლის ბოსელს საძოვარზე დანაყრებული ძროხები დაუბრუნდნენ.

ბ) სალამოს დეიდა პოლის ბოსელს საძოვარზე დანაყრებული ნახირი დაუბრუნდა.

ა) ტომმა შენიშნა, რომ ცხვრები ბუჩქნარიან ფერდობს აუყვნენ.

ბ) ტომმა შენიშნა, რომ ფარა ბუჩქნარიან ფერდობს აუყვა.

(წინადადებები „ტომ სოიერის თავგადასავალიდან“)

🔍 დააკვირდი

რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან არსებით სახელთა ეს წყვილები?

ძროხები – ნახირი

ცხვრები – ფარა

ბუჩქები – ბუჩქნარი

ნაძვები – ნაძვნარი

ადამიანები – ხალხი

მეომრები – არმია

მოსახლეები – მოსახლეობა ნათესავები – ნათესაობა

წყვილებში გამუქებული სიტყვები **კრებითი არსებითი სახელებია!**

! განმარტება

კონკრეტულ საზოგადო სახელს, რომელიც აღნიშნავს ერთგვაროვან საგანთა კრებულს, **კრებითი** არსებითი სახელი ეწოდება.

ზოგი კრებითი სახელი ბოლოსართის ანუ სუფიქსის დახმარებით იწარმოება. დააკვირდი: ბუჩქნარი, ნაძვნარი, მოსახლეობა, ნათესაობა.

დავალება

1. იპოვე კრებითი სახელის მანარმოებელი სუფიქსები, ანუ ბოლოსართები:

ა) ფიჭვი – ფიჭვნარი,

გ) სტუდენტი – (მთელი) სტუდენტობა,

ბ) მუხა – მუხნარი,

დ) მეზობელი – (მთელი) მეზობლობა.

2. სწორად შეარჩიე სუფიქსი და დაახასიათე სათანადო კრებითი სახელი:

ა) თხილი – (თხილის ხეები) ... ,

გ) ახალგაზრდა – (ახალგაზრდები) ... ,

ბ) ყვავილი – (ყვავილები) ... ,

დ) ქართველი – (ქართველები) ...

3. გაიხსენე აბსტრაქტული სახელები და აღნიშნე, ხაზგასმული არსებითი სახელებიდან რომელია აბსტრაქტული და რომელი – კრებითი?

ა) განსაცდელში ჩავარდნილ
ოჯახს მთელი მეზობლობა
მხარში ამოუდგა.

გ) მოხუცმა თავისი საქმე ახალგაზრდობას
გადაულოცა.

ბ) დეიდა პოლიმ კარგი მეზობ-
ლობა იცოდა.

დ) გოგონას სიცილმა მოხუცს თავისი
ახალგაზრდობა მოაგონა.

4. დააკვირდი, დავალება 3-ში ხაზგასმულ სახელებს რომელი კითხვა შეესაბამება: „ვინ“ თუ „რა“? სათითაოდ შეამონმე.

! დაიმახსოვრე

ყველა აბსტრაქტული სახელი „რა“ ჯგუფისაა;
კრებითი სახელი კი – „რა“ ჯგუფის ან „ვინ“ ჯგუფის.

დავალება

წაიკითხე წინადადებები და აღნიშნე: როდესაც მოქმედი პირი კრებითი სახელითაა გამოხატული, რომელ რიცხვში შეენწყობა მას ზმნა – მხოლობითსა თუ მრავლობითში?

ა) „სამშობლოში დაბრუნებულს,
მთელი ნათესაობა სტუმრად
ენწვია“.

ბ) „ამ სასწავლებლის სტუდენტობა
საფუძვლიანი ცოდნით გამოირჩევა“.

🔍 დააკვირდი

ნათესავეები ეწვივნენ – ნათესაობა ეწვია;
სტუდენტები გამოირჩევიან – სტუდენტობა გამოირჩევა.

! შეადარე

ა) ტყემ მოისხა ფოთოლი.

ა) მწყემსმა ცხვარი იალალზე გარეკა.

ბ) ტოტს მოსწყდა ფოთოლი.

ბ) მწყემსმა ცხვარი ხელში აიყვანა.

ამათგან რომელ წინადადებებში გვხვდება კრებითი სახელები?

! განმარტება

ქართულ ენაში ზოგიერთი სიტყვა ერთ საგანსაც აღნიშნავს და საგანთა კრებულსაც. ეს განსხვავება წინადადების შინაარსით უნდა ამოვიცნოთ.

არსებით სახელთა ბრუნვა

გაკვეთილი I. მხოლოდით რიცხვში

! გაიხსენე

ქართულ ენაში არსებითი სახელი შვიდნაირად იცვლის ფორმას – შვიდ ბრუნვაში დგება.

ბრუნვათა სახელებია: 1. სახელობითი, 2. მოთხრობითი, 3. მიცემითი, 4. ნათესაობითი, 5. მოქმედებითი, 6. ვითარებითი, 7. წოდებითი.

🔍 დააკვირდი განსხვავებას ბრუნვის ნიშნებს შორის

ფუძე	ბრუნვის ნიშანი	ფუძე	ბრუნვის ნიშანი
1. ნაგაზ	-ი	მეგობარ	-ი
2. ნაგაზ	-მა	მეგობარ	-მა
3. ნაგაზ	-ს	მეგობარ	-ს
4. ნაგაზ	-ის	მეგობრ	-ის
5. ნაგაზ	-ით	მეგობრ	-ით
6. ნაგაზ	-ად	მეგობრ	-ად
7. ნაგაზ	-ო	მეგობარ	-ო

ფუძე	ბრუნვის ნიშანი	ფუძე	ბრუნვის ნიშანი
1. მდინარე	-	ცა	-
2. მდინარე	-მ	ცა	-მ
3. მდინარე	-ს	ცა	-ს
4. მდინარე	-ის	ც	-ის
5. მდინარე	-ით	ც	-ით
6. მდინარე	-დ	ცა	-დ
7. მდინარე	-ვ	ცა	-ო

დავალეზა

1. შეადარე, რამდენი ბრუნვა აქვს არსებით სახელს შენთვის ნაცნობ სხვა უცხოურ ენაში?
2. ჩამოთვალეთ სწორი თანმიმდევრობით ქართული ენის გრამატიკაში ბრუნვებისთვის დარქმეული სახელები.

? უპასუხე შეკითხვებს

1. **ნავაზი, მეგობარი, მდინარე, ცა** – ამ სახელებიდან რომლის ფუძეა ბოლოთანხმოვნისა და რომლის – ბოლოხმოვნისა? განმარტე მოთხრობითი ბრუნვის მაგალითების დახმარებით.
2. რა ცვლილებას განიცდის მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი „მა“ ბოლოხმოვნის სახელებთან? (მდინარე-მ, ცა-მ, რუ-მ, წყარო-მ, მინა-მ...).
3. პირველ ბრუნვაში, ანუ სახელობით ბრუნვაში, რა განსხვავება შენიშნე? რომელს აღარ ემატება ბრუნვის ნიშანი „ი“?
4. რა ცვლილებას განიცდის ვითარებითი ბრუნვის ნიშანი „ად“ ბოლოხმოვნის სახელებთან? (მდინარე-დ, ცა-დ, რუ-დ, წყარო-დ, მინა-დ...).
5. წოდებით ბრუნვაში რა განსხვავებაა ბოლოხმოვნის სახელებს შორის? (ცა-ო, მდინარე-ე).

! დაიმასსოვრე

ბოლოხმოვნის სახელებიდან, როგორც წესი, წოდებითში „ო“ **ერთმარცვლიან სახელებს** დაერთვის (შეადარე: ცაო, ხეო – ზეცავ, მუხავ).

დავალება

- ა) წარმოთქვი თანხმოვანი, რომელიც არსებითი სახელის ფუძეს აბოლოებს: **ბავშვი, ნავი, გემი, ბათუმი, მაისი, თბილისი, ქალაქი, ბაღი.**
- ბ) დააკვირდი მოთხრობითი ბრუნვის ფორმებს და განმარტე, სად და რატომ გაჩნდა ორი „მ“: ნავმა, გემმა, ბაღმა, ბათუმმა.
- გ) დააკვირდი მიცემითი ბრუნვის ფორმებს და განმარტე, სად და რატომ გაჩნდა ორი „ს“: ქალაქს, თბილისს, ბავშვს, მაისს.
- დ) ჩამოაყალიბე ორი გრამატიკული წესი:
 1. „მ“ თანხმოვანფუძიან სახელთა მოთხრობითი ბრუნვის ფორმების შესახებ;
 2. „ს“ თანხმოვანფუძიან სახელთა მიცემითი ბრუნვის ფორმების შესახებ.

გაკვეთილი II. სახელის ფუძის კუმშვა და კვეცა

გაიხსენე

სახელის ფუძიდან ერთი ხმოვნის ამოვარდნას **კუმშვა** ეწოდება, ფუძის ბოლო ხმოვნის დაკარგვას კი – **კვეცა**.

! შეადარე ერთმანეთს ორი ბოლოთანხმოვნიაანი არსებითი სახელი

4. ნათესაობითი: ნაგაზ-ის – მეგობარ-ის

5. მოქმედებითი: ნაგაზ-ით – მეგობარ-ით

6. ვითარებითი: ნაგაზ-ად – მეგობარ-ად

- ამათგან რომელია **კუმშვადი** და რომელი – **უკუმშველი**?

! შეადარე ერთმანეთს ბოლოხმოვნიაანი სახელები

4. ნათესაობითი: მდინარე-ის (წყალი) – წყარო-ის (წყალი)

5. მოქმედებითი: მდინარე-ით – წყარო-თი

- ამათგან რომელია **კვეცადი** და რომელი **უკვეცელი**?
- დააკვირდი, რა ცვლილებას განიცდის უკვეცელ სახელებთან ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი „ის“ და მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი „ით“?

? დააკვირდი და უპასუხე შეკითხვებს

- რა ჯგუფებად დაიყო არსებითი სახელები ფუძის დაბოლოების მიხედვით?
- ამათგან რომელი ჯგუფის არსებითი სახელი შეიძლება იყოს **კვეცადი** ან **უკვეცელი**?
- რომელ ბრუნვებში ხდება **კვეცა**?
- როგორი შეიძლება იყოს ბოლოთანხმოვნიაანი არსებითი სახელის ფუძე?
- რომელ ბრუნვებში ხდება **კუმშვა**?

! დაიმახსოვრე

სახელთა მართლწერის დაზუსტება შესაძლებელია **ორთოგრაფიული ლექსიკონის** დახმარებით.

ხშირად, იკუმშება: **ელ, აღ, არ, ან, ამ** მარცვლებზე დაბოლოებულ სახელთა ფუძეები. მაგალითად: მატარებლის, მწერლის, ფანქრის, აივნის, კალმის...

დავალება

სწორად გაანაწილე ქვემოთ ჩამოთვლილი არსებითი სახელები ოთხი ქვეჯგუფის მიხედვით: **კვეცადი, უკვეცელი; კუმშვადი, უკუმშველი** (დაიხმარე ნათესაობითი ბრუნვის კითხვები – რისი? ვისი?):

სანაპირო, ჩანთა, ქუჩა, ფინია, კუთხე, თარო, გალია, საუზმე, კეფა, კოფო, მეტოქე; საათი, მწერალი, თუნუქი, ნაჭერი, ჭორფლი, ჭიშკარი, მეზობელი.